# დამოლოცვა შვიდეულთა დღეთანი

## წესისაებრ აღმოსავლეთისა ეკლესიისა[1]

### შაბათსა მწუხრად

ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედისა მისისათა, წმინდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა მოციქულთათა(უკუეთუ საჩინო დღე იყოს, იგი მოიჴსენოს, და რომლისაცა წმიდისა ეკლესია იყოს, იგიცა მოიჴსენოს), წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა – იოაკიმ და ანნასითა, და ყოველთა წმიდათა მისთათა, შეგვიწყალნეს ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან ჩვენმან.

### კჳრიაკესა ცისკრად და წირვაზე

რომელი აღდგა მკუდრეთით, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედისა მისისათა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა მოციქულთათა(თუ საჩინო დღეა და ეკლესიის წმიდის სახელი), წმი-

[1] კონდაკი (ხუცური შრ.), გამც. ვახტანგ ბატონიშვილისა, ტფილისი, 1710. გვ. 206-210.

დათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა – იოაკიმ და ანნასითა, და ყოველთა წმიდათა მისთათა, შეგვიწყალნეს ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან ჩვენმან.

## კჳრიაკესა მწუხრი და ორშაბათსა ცისკრად

ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან. მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედისა მისისათა, წმიდათა უსხეულოთა ზეცისა ძალთათა. წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთათა(თუ საჩინო დღეა და ეკლესიის წმიდის სახელი), წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა – იოაკიმ და ანნასითა, და ყოველთა წმიდათა მისთათა, შეგვიწყალნეს ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან ჩვენმან.

## ორშაბათსა მწუხრი და სამშაბათსა ცისკრად

ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედისა მისისათა, წმიდისა წინაწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესითა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა და მოციქულთათა(თუ საჩინო

დღეა და ეკლესიის წმიდისა სახელი), წმიდათა და მართალთა მშობელთა Ⴖმრთისათა – Ⴈოაკიმ და Ⴀნნასითა, და ყოველთა წმიდათა Ⴋისთათა, შეგვიწყალნეს ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან Ⴖმერთმან ჩვენმან.

## სამშაბათსა მწუხრი და ოთხშაბათსა ცისკრად

Ⴕრისტემან ჭეშმარიტმან Ⴖმერთმან ჩვენმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა Ⴃედისა Ⴋისისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა Ⴟვარისათა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთათა(Ⴇუ საჩინო დღეა და ეკლესიის წმიდის სახელი), წმიდათა და მართალთა მშობელთა Ⴖმრთისათა – Ⴈოაკიმ და Ⴀნნასითა, და ყოველთა წმიდათა Ⴋისთათა, შეგვიწყალნეს ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან Ⴖმერთმან ჩვენმან.

## ოთხშაბათსა მწუხრი და ხუთშაბათსა ცისკრად

Ⴕრისტემან ჭეშმარიტმან Ⴖმერთმან ჩვენმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა Ⴃედისა Ⴋისისათა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა

მოციქულთათა(თუ საჩინო დღეა და ეკლესიის წმიდის სახელი), წმიდათა და მართალთა მშობელთა Ⴖმრთისათა – Ⴈოაკიმ და Ⴀნნასითა, და ყოველთა წმიდათა Ⴋისთათა, შეგვიწყალნეს ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან Ⴖმერთმან ჩვენმან.

## ხუთშაბათსა მწუხრი და პარასკევსა ცისკრად ოთხშაბათისა უნდა.

## პარასკევსა მწუხრად და შაბათსა ცისკრად

Ⴕრისტემან ჭეშმარიტმან Ⴖმერთმან ჩვენმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა Ⴃედისა Ⴋისისათა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა, წმიდათა დიდებულთა ღვაწლისა მძლეთა მოწამეთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთა(Ⴇუ საჩინო დღეა და ეკლესიის წმიდის სახელი), წმიდათა და მართალთა მშობელთა Ⴖმრთისათა – Ⴈოაკიმ და Ⴀნნასითა, და ყოველთა წმიდათა Ⴋისთათა, შეგვიწყალნეს ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან Ⴖმერთმან ჩვენმან.

# ჩამოლოცვა სამეუფოთა დღესასწაულთა

### მწუხრსა ზედა, ცისკრად და წირვასა ზედა წესისაებრ

## ქრისტეს შობისა.

რომელი ბეთლემს ქვაბსა შინა იშევ და ბაგასა მიიწვინე ჩუენისა ცხოვრებისათვის. ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან...

## წინა დაცვეთისა.

რომელმან მერვესა დღესა ჴორცითა წინა დაცვეთა თავს-იდევ ჩვენისა ცხოვრებისათვის. ქრისტემან...

## განცხადებისა.

რომელმან იოვანესგან იორდანეს ნათლისღება ჯერ-იჩინე ჩვენისა ცხოვრებისათჳს. ქრისტემან...

## მირქმისა.

რომელმან მართლისა სვიმეონისა მკლავთა ზედა მირქმა ჯერ-იჩინე ჩვენისა ცხოვრებისათვის. ქრისტემან...

## ფერისცვალებისა.

რომელმან მთასა თაბორსა დიდებით ფერი იცვალე წინაშე წმიდათა თჳსთა მოწაფეთა და

მოციქულთა. Ⴕრისტემან ჭეშმარიტმან Ⴖმერთმან...

Ⴉვრიაკესა Ⴁაიასსა.

Ⴐომელმან კიცუსა კარაულისასა დაჯდომა ჯერ-იჩინა ჩვენისა ცხოვრებისათჳს. Ⴕრისტემან ჭეშმარიტმან...

Ⴉვირიაკესა Ⴁაიასასა მწუხრზედა.

Ⴓფალმან ნებსით ვნებად მოსრულმან ჩვენისა ცხოვრებისათჳს. Ⴕრისტემან ჭეშმარიტმან...

Ⴃიდსა ხუთშაბათსა.

Ⴐომელმან სახიერებით კეთილი გზა გვიჩვენა და სიმდაბლით დაბანნა ფერჴნი მოწაფეთანი და Ⴟვარცმა და დაფლვა დაითმინა ჩვენთჳს.

Ⴙამოლოცვის უკან Ⴟუარცმისა.

Ⴐომელმან ვნება, ნერწყვა, ყურიმლის-ცემა, Ⴎყრობილება, Ⴟუარცმა და სიკვდილი დაითმინე სოფლისა ცხოვრებისათჳს.

Ⴃიდსა Ⴎარასკევსა.

Ⴐომელმან ჩვენ კაცთათჳს და ჩვენისა ცხოვრებისათჳს შესაძრწუბებელი ვნება და ცხოველს-მყოფელსა Ⴟუარსა ზედა დამსჭვალვა და ნებსით დაფლვა Ⴤორცითა ჯერ-იჩინა.

Ⴜმიდასა დიდსა Ⴀღდგომასა და ყოველსა კჳრიაკესა.

Ⴐომელი აღდგა მკუდრეთით. Ⴕრისტემან ჭეშმარიტმან Ⴖმერთმან ჩვენმან...

Ⴀმაღლებისა.

Ⴐომელი დიდებით ჩვენგან ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით Ⴖმრთისა და Ⴋამისა.

Ⴉჳრიაკესა სულის Ⴜმიდის მოსლვისა.

Ⴐომელმან სახითა ცეცხლისა ენათათა ზეცით გარდამოუვლინა ყოვლად Ⴜმიდა სული წმიდათა მოწაფეთა და მოციქულთა Ⴇვისთა.

Ⴀმასვე კჳრიაკესა მწუხრზედა.

Ⴐომელმან Ⴋამებრივისა Ⴖმრთეებისა წიაღთაგან წარმოაცალიერა თავი Ⴇჳსი, და ზეცითაგან ქვეყანად გარდამოჴდა, და ჩვენ ყოველნი ბუნებისა ჩვენისა მიღებითა განგვაღმრთო მან. Ⴃა ამისა შემდგომად Ⴇვით ზეცას ამაღლდა და მარჯუენით Ⴖმრთისა და Ⴋამისა დაჯდა, და საღმრთო და წმიდა და თანაარსი ერთი ძალი და ერთი დიდებაჲ და თანაგანმგებელი სული ზედა გარდამოავლინა წმიდათა მოწაფეთა და მოციქულთა Ⴇჳსთა, და Ⴋის მიერვე განანათლნა იგი-

ნი და მათ მიერ ყოველი ქუეყანა.

Ⴕრისტემან ჭეშმარიტმან Ⴖმერთმან ჩვენმან მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა და უბიწოჲსა, წმიდისა Ⴃედისა Ⴋისისათა, და წმიდათა დიდებ-ულთა და ყოვლად ქებულთა, Ⴖმრთის მქადაგე-ბელთა და სულითა შეზღუდვილთა მოციქულთა და ყოველთა წმიდათა Ⴋისთათა, შეგვიწყალენ და გვაცხოვნენ ჩვენ.

განსრულდა.

სამებასა Ⴖმერთსა მხოლოსა დიდებაჲ, ამინ.

Ⴃაიბეჭდა ქალაქსა Ⴒფილისისასა

Ⴤელითა მესტამბე Ⴋიხაილ სტეფანეშვილისა Ⴓნგროვლახელისათა,

ქორონიკონსა Ⴕრისტეს აქათ Ⴀთას შვიდას და ათსა.

Ⴕ. Ⴄს Ⴉონდაკი სჳმონისა არის. Ⴓფალო, შეი-წყალე. Ⴀმინ.